

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2250

ქ. ბათუმი, 11 ივნისი 2018 წ

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის, სამოქალაქო ინიციატივების, რეკომენდაციების, მოსაზრებების, რჩევების შემუშავებისა და წარდგენის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86<sup>1</sup> მუხლის, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 5 თებერვლის N532 ბრძანებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების“ შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შეიქმნას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო (შემდგომში - საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

- |                       |  |
|-----------------------|--|
| ა) ნინო ინაიშვილი     | - საზოგადოება „ბათომი“-ს დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმძღვანელი;   |
| ბ) თემურ კაკაბაძე     | - „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე;   |
| გ) ნათია აფხაზავა     | - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი;   |
| დ) ლაშა ნაკაშიძე      | - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში - UNDP-GEF პროექტის „მწვანე ქალაქები: მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის“ ხელმძღვანელი; |
| ე) კახაბერ გუჩმანიძე  | - CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონში - კოორდინატორი აჭარაში;   |
| ვ) მაცვალა კვირიკაძე  | - შპს „მაკო“-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენტა ასოციაციის თავმჯდომარე;  |
| ზ) თამაზ თურმანიძე    | - შპს „რუსული რეგისტრი ვესტჯეოორჯია“-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდვთა ასოციაციის თავმჯდომარე;   |
| თ) თამარ ხუხუნაიშვილი | - ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი - ექიმი-ლაბორანტი; საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის კოორდინატორი;  |

- ი) ზურაბ ჩიხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
- კ) გურამ ფუტყარაძე - აჭარის ა/რ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი;
- ლ) მარიამ ბურკენაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი.

2. საბჭოს უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 5 თებერვლის N532 ბრძანებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით“.

3. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი